მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის WEG 2018 წლის საქმიანობების მოკლე შეჯამება

2018 წელს WEG-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე რეფორმების, ენერგეტიკული სიღარიბის, კლიმატის ცვლილების და მდგრადი განვითარებისა და ენერგეტიკის სექტორში კარგი მმართველობის კვლევა და ანალიზი.

WEG 2006 წლიდან მუშაობს ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე საქართველოში.

ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. მიგვაჩნია, რომ ამ სფეროს რეფორმირება და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდა ქვეყნის დამოუკიდებლობის, სახელმწიფო უსაფრთხოების, ეკონომიკური გაძლიერების და დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- კვლევა და ანალიზი
- ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება
- კონსულტაცია
- საგანმანათლებლო საქმიანობა

World Experience for Georgia

ჰიდროსადგურები & ენერგეტიკული უსაფრთხოება

მშენებარე ჰესები

2018 წელს საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტის ტალღამ პიკს მიაღწია.

პროტესტი განსაკუთრებით გაძლიერდა სვანეთში, სადაც დაწყებულია რამდენიმე საშუალო და დიდი ჰესის, მათ შორის ნენსკრას და ხუდონჰესის მშენებლობა. საკითხის განხილვამ პროფესიული მსჯელობიდან და თანამშრომლობიდან საპროტესტო აქციების და დაპირისპირების ფორმატში გადაინაცვლა.

WEG-ის მთავარი მცდელობა გახლდათ კრიზისის გადაყვანა სამუშაო რეჟიმში, რათა მწვავე საგარეო და საშინაო გამოწვევების ფონზე, საზოგადოების დრო და ენერგია არა დესტრუქციულ ურთიერთდაპირისპირებას, არამედ კონსტრუქციულ განვითარებას მოხმარებოდა.

ამ საკითხს მიეძღვნა არაერთი საჯარო გამოსვლა, კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან და საკითხის ფართო გაშუქება მედიაში. იხილეთ პრობლემის აღწერა და რეკომენდაციები ბმულზე.



ენგურჰესი და აფხაზეთი

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთოხებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ენგურის მიერ გამომუშავებული ელქტროენერგიის აფხაზეთის მიერ მზარდ, უფასო მოხმარებას უკავშირდება.

აფხაზეთის გადაუხდელი მოხმარების ზრდის გამო, ენგურის კასკადის სარგებლიანობა დანარჩენი საქართველოს ენერგოსისტემისათვის მცირდება, ხარჯები კი განუხრელად მატულობს.

ამ თემას მიძღვნა ჩვენს მიერ ნატოს სამოკავშირეო ოფისის ტექნიკური მხარდაჭეირთ გამართული სამუშაო შეხვედრა და სხვა ღონისძიებები. იხილეთ ვრცლად ენგურჰესთან დაკავშირებული სხვა პრობლემების ანალიზი.

საერთაშორისო თანამშრომლობა უსაფრთხოების კუთხით

20218 წელს რუმინეთში, ახალი სტრატეგიის ცენტრთან თანამშრომლობით, NATO SPS პროგრამის ფარგლებში, ორგანიზება გავუწიეთ მაღალი დონის შეხვედრას „შავი გედები აღმოსავლეთ ფლანგზე“, რომლის ფარგლებშიც, ორი დღის განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა ექსპერტებმა ისაუბრეს საზღვრებთან, საზღვაო პორტებთან, ტერორიზმთან, ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან და კიბერ-უსაფრთხოებასთან

WEG -ის და სხვა ორგანიზაციების ექსპერტებმა განიხილეს სავარაუდო სცენარები, რომლებიც შეიძლება რეგიონებში განვითარდეს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ქვეყნების სოციო-ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებაზე.

ასევე ვმონაწილეობდით შავი ზღვისა და ბალკანეთის უსაფრთხოების ფორუმში, რომლის 2018 წლის თემა იყო უსაფრთხოება რეგიონებში.

ფორუმზე WEG-ის ენერგეტიკული კვლევების დირექტორმა, მურმან მარგველაშვილმა წარმოადგინა მოხსენება საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებთან

კორუფცია ენერგეტიკის სექტორში და მისი ფასი საზოგადოებისათვის

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში, ღია საზოგადოების ინსტიტუტთან (OSI) და მოლდოვას, უკრაინის, სომხეთის, ყირგიზეთის, ბულგარეთის პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, OGP სამიტზე თბილისში WEG -მა ჩაატარა პანელი, რომლის მთავარი თემა იყო კორუფცია ენერგეტიკის სექტორში და მისი ფასი საზოგადოებისათვის პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში.

ამავე თემას მიეძღვნა პანელზე წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებელი სიღრმისეული განხილვა სამუშაო შეხვედრაზე. რომელიც უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა სტეფანწმინდაში.

შეხვედრაზე ქვეყნებმა წარმოადგინეს ენერგეტიკის სექტორში არსებული კორუფციული სქემების კონკრეტული შემთხვევების ანალიზი და ყურადღება გაამახვილეს ენერგეტიკის სექტორში კორუფციის უარყოფით გავლენებზე სხვა სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება, ანგარიშვალდებულება, გარემო, ენერგეტიკული და ეროვნული უსაფრთხოება.

WEG გეგმავს, 2019 წელსაც იმუშაოს ამ მიმართულებით და მეტი დრო დაუთმოს კორუფციის საკითხების სისტემურ შესწავლას.

ენერგეტიკული სიღარიბე

2018 წელს WEG–მა ენერგეტიკული სიღარიბის პირველადი კვლევა ჩაატარა. კვლევის მიხედვით, ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც შემდეგ საკითხებში იკვეთება:

ზამთარში მოსახლეობა საცხოვრებელი ფართის მცირე ნაწილს ათბობს. გათბობისათვის ოჯახების ნახევარი შეშას იყენებს, რომლის წვაც არაეფექტურ ღუმელებში, ჯანმრთელობის დამაზიანებელი მეთოდებით ხდება.

არსებული სუბსიდირების სქემების და დაზოგვის მეთოდების მიუხედავად, მოწყვლადი მომხმარებლებისთვის მაღალია ენერგეტიკული დანახარჯების წილი მთლიან შემოსავლებში. გადახდის ტვირთი განსაკუთრებით მძიმეა ზამთრის თვეებში.

მოსახლეობის 99%-ისთვის ელექტროენერგია ხელმისაწვდომია, 68%-ისთვის კი გაზი, თუმცა ზოგიერთ რეგიონში პრობლემას წარმოადგენს ძაბვის ცვალებადობით და წყვეტით გამოწვეული ზარალი და გაუმართავი ინფრასტრუქტურა

ენერგეტიკული სიღარიბის არსებობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაბალი თბური მახასიათებლების მქონე შენობები, რომლებიც ენერგიის ფლანგვას და კომფორტის დაბალ დონეს განაპირობებს.

WEG-ის მთავარი რეკომენდაციაა, ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრა განისაზღვროს ენერგეტიკული პოლიტიკის ერთერთი მთავარ ამოცანად. მიზანშეწონილია „ენერგეტიკის შესახებ“ კანონის პროექტში გაჩნდეს ჩანაწერი ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებით. ვრცლად - ბმულზე.





კლიმატის ცვლილება & მდგრადი განვითარება

კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება 2018 წელსაც ჩვენი ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. ვიმუშავეთ მეორე „ორწლიურ განახლებულ ანგარიშზე UNFCCC-სადმი“, რომლის ფარგლებშიც განვახორციელეთ სხვადასხვა სექტორში სათბური გაზების ემისიის შერბილების უკვე დასრულებული თუ დაგეგმილი ღონისძიებების შეფასება.

WEG 2018 წელს შეუერთდა კონსორციუმს ევროკავშირის პროგრამის „ჰორიზონტი 2020-ის“ ფარგლებში, რომლის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება კლიმატის ცვლილების კვლევის მიმართულებით.

WGE-მა ასევე მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მწვანე კვირეულში. მწვანე კვირეული ყოველწლიური ღონისძიებაა მდგრადი განვითარების შესახებ, რომელსაც ორგანიზებას ევროკავშირი უწევს. 2018 წლის მთავარი თემა იყო ქალაქების გადაქცევა უკეთეს სამუშაო და საცხოვრებელ სივრცედ.

2018 წელის კლიმატის სერვისების ევროპული კვლევითი ცენტრის (ERA4CS) მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში მიწვეული იყო WEG-ის წამყვანი მკვლევარი გიორგი მუხიგულიშვილი, რომელმაც წაიკითხა ლექციები კლიმატის ცვლილების ზეგავლენის, შემარბილებელი ღონისძიებების და მდგრადი განვითარების საკითხებზე.

ბათუმი – მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა

WEG ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩართულია ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, რომელსაც კომპანია AECOM ახორციელებს.

გეგმის შემუშავებას, რომელიც 14 თვე გაგრძელდება, ბათუმის მუნიციპალიტეტი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ერთობლივად ახორციელებენ .

EBRD-ის მწვანე ქალაქების ჩარჩო პროგრამა წარმოადგენს მწვანე ურბანული განვითარების ბიზნეს მოდელს, სადაც, სტრატეგიულ დაგეგმვასთან ერთად, გათვალისწინებულია ინვესტირება და ტექნიკური დახმარება. ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა განიხილავს გარემოზე მოქმედ სექტორებს, მათ შორის, ტრანსპორტს, ენერგეტიკას, ინდუსტრიას, მიწათსარგებლობას, ნარჩენებისა და წყლის მართვას.

ენერგეტიკული დაგეგმვა

ენერგეტიკული დაგეგმვა 2018 წელსაც WEG-ის ერთერთი მთავარი მიმართულება იყო. ენერგეტიკული დაგეგმვის მთავარი ამოცანაა, საქართველოს ენერგეტიკის სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

WEG-მა ელექტროენერგიის სექტორის დაგეგმვის მოდელის WASP IV-ის გამოყენების შესახებ ტრენინგი ჩაუტარა ენერგეტიკის სამინისტროს, სახელმწიფო ელექტროსისტემის და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს. აღნიშნული მოდელი დღეს ამ უწყებების მიერ გამოყენებული ერთერთი მნიშვნელოვანი მოდელია.

ენერგეტიკული დაგეგმვის კუთხით ასევე საინტერესო იყო საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს EU4ENERGY პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ფორუმი, რომელიც ევროკავშირის მასშტაბით ენერგეტიკული დაგეგმვის პერსპექტივებს შეეხო.

WEG 2018 წელსაც აგრძელებდა EU4Energy პროექტის მხარდაჭერას საქართველოში.

სხვა საქმიანობა

WEG 2018 წელსაც აქტიურად მონაწილეობდა სექტორში მიმდინარე საკითხების განხილვასა და ანალიზში, რომლთა შორის აღსანიშნავია ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის პროექტის განხილვა, გაზის ბაზრის რეფორმის საკითხები და ა.შ.

მიმდინარე პროცესებში მონაწილეობასთან ერთად, ასევე ვცდილობდით ცოდნის გავრცელებისა და დისკუსიების ხელშეწყობას.

გამორჩეულად საინტერესო იყო რუმინეთის ელჩის, მისი აღმატებულება რადუ ლივიუ ჰორუმბას ვიზიტი და საჯარო ლექცია, რომელიც ენერგეტიკისა და გეოპოლიტიკის საკითხებს მიეძღვნა.

ბატონმა ჰორუმბამ სიღრმისეულად მიმოიხილა სამხრეთის გაზის დერეფნისა და კასპიისა და შავი ზღვის აუზებში მიმდინარე პროცესები გაზსადენების განვითარების კუთხით. ისაუბრა ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებსა და მომავალი განვითარების პერსპექტივებზე.

opinion

წლის განმავლობაში, ასევე ხშირად გამოვთქვამდით მოსაზრებებს ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე, რომლებიც საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა.

მაგალითად, ცხარე დებატები გამოიწვია მსოფლიო ბანკის მიერ, ფინანსთა სამინისტროს თხოვნით მომზადებულმა „ფისკალური ხარჯებისა და ტარიფების ზემოქმედების შეფასების" დოკუმენტმა, რომელიც ჰიდროსადგურების აშენებაზე დადებულ მემორანდუმებს ეხებოდა.

პროცესმა გამოავლინა, რომ ენერგეტიკის მართვის სისტემა არ არის სათანადოდ მომზადებული იმ ამოცანებისათვის, რომელიც ეკისრება. არ ხდება ენერგეტიკული პოლიტიკის დაყრდნობა სრულფასოვან რაოდენობრივ გათვლებზე.

იხილეთ ანალიზი სრულად

წლის ბოლოს ასევე აქტუალური იყო ბუნებრივი აირის ტარიფის დადგენა. „სოციალური" გაზის მიწოდების ღირებულების სუბსიდირებით, სახელმწიფომ მოსახლეობის უარყოფით მოლოდინების გასანეიტრალებლად, გაზის ტარიფი მცირედით შეამცირა.

ეს გადაწყვეტილება, სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევით, ახდენს გაუთვლელი გაზიფიცირების შედეგად გაზრდილი განაწილების ტარიფების კომპენსირებას სახელმწიფო შემოსავლების ხარჯზე. ის ძირეულად ეწინააღმდეგება ლიბერალური ბაზრის და ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის პრინციპებს.

იხილეთ ვრცლად ბმულზე.

WEG მედიაში

2018 წელს ჩვენ მიერ განხილული თემები ხშირად იყო როგორც სატელევიზიო, ისე ინტერნეტ და რადიო სივრცეში გაშუქების საგანი, რაც შესაძლებლობას გვაძლევდა საზოგადოების ყურადღება გაგვემახვილებინა მნიშვნელოვან ენერგეტიკულ საკითხებზე და გამოგვეთქვა საკუთარი, დასაბუთებული პოზიცია აქტუალურ, საკამათო საკითხებზეც.

მედია ძირითადად ჰესების, ენერგეტიკული უსაფრთხოების, სუბსიდირების, ენერგეტიკული სიღარიბის საკითხებით ინტერესდებოდა

დონორები

- *გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP)*
- *ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო*
- *ღია საზოგადოების ინსტიტუტი*
- *ევროკავშირი*
- *USAID*
- *NATO SPS*
- *EBRD*

საკონტაქტო ინფორმაცია:
თბილისი, ფალიაშვილის #15, 0179
ტელ: (+995 32) 210 24 52
WWW.WEG.GE